ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:ბ48.482108212
თარიღი:23/03/2021

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის'' 2016 წლის 31 მაისის №10 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

„მეიჯარე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და „მოიჯარე" თამთა ცხადაძეს შორის 2016 წლის 31 მაისის გაფორმდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის №10 ხელშეკრულება. ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 27 816 ლარს, მოიჯარე წლიურ საიჯარო ქირას იხდის წლის განმავლობაში ოთხჯერ: პირველ შენატანს 6954 ლარს ყოველი 25 სექტემბრამდე, მეორე შენატანს 6954 ლარს ყოველი წლის 25 ნოემბრამდე, მესამე შენატანი 6954 ლარს ყოველი წლის 25 თებერვლამდე, მეოთხე შენატანი 6954 ლარს ყოველი წლის 25 მაისამდე.

მოიჯარე თამთა ცხადაძის მიერ დღეის მდგომარეობით არ არის გადახდილი 2019 წლის საიჯარო ქირის ნაწილი, საერთოდ არ აქვს გადახდილი 2020 წლის საიჯარო ქირა და 2021 წლის 25 თებერვლამდე გადასახდელი საიჯარო ქირა, შესაბამისად არ აქვს გადახდილი იჯარის გადაუხდელობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო. ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ვალდებულია, მისთვის გადაცემული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისას დაიცვას აუქციონის ან/და სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. ზემოაღნიშნულ პერიოდში „მოიჯარე" თამთა ცხადაძეს არაერთხელ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და მათი გამოსწორების შესახებ, თუმცა „მოიჯარის" მიერ დღემდე არ არის დაცული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება საიჯარო თანხისა და პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სარგებლობის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მიიჩნევა სარგებლობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM